მიხეილ სადაღაშვილი •

პირველი და მომდევნო დემოკრატიული ნაბიჯები პოსტსოციალისტურ პოლონეთში ანუ პოლიციის რეფორმა 1989-2003 წლებში

აბსტრაქტი

ყველა ქვეყანა, რომელსაც სურს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, მრავალ ეტაპს გადის და საჭირო ნაბიჯებს დგამს. დემოკრატიის მისაღწევად ქვეყანაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სიმშვიდე და სტაბილურობაა, რათა ქვეყნის მოქალაქენი დარწმუნებულნი იყვნენ საკუთარი აწმყოსა და მომავლის უსაფრთხოებაში, ხოლო სხვა ქვეყნები, ამ ქვეყნის სახით სტაბილურ მეზობელსა და პარტნიორს ხედავენ. ქვეყნის შიგნით სიმშვიდისა და მოქალაქეების დაცულობის ერთ-ერთი გარანტორი პოლიციაა - ინსტიტუტი, რომელიც მუდმივად აკონტროლებს სიტუაციას და ზრუნავს ხალხის უსაფრთხოებაზე. საბჭოთა კავშირის პერიოდში მილიციაში კორუფციამ და დანაშაულმა დაისადგურა, რომ მილიცია ნაკლებად ასრულებდა თავის მოვალეობას, ხშირი იყო ქრთამის აღება და დანაშაულზე ხელის დაფარება, ამგვარი სიტუაცია გრძელდებოდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც. კომუნისტური რეჟიმიდან პოლონეთის განთავისუფლების შემდეგ სახელმწიფოს მშენებლობის კუთხით, პოლონეთის მთავრობამ გაატარა რიგი რეფორმები, მათ შორის პოლიციაშიც. პოლიციაში გატარებული რეფორმების მიზანი მოცემული ინსტიტუტის არსებული სავალალო მდგომარეობიდან გამოყვანა და გამოცოცხლება იყო.

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი.

საკვანძო სიტყვები: პოლონეთი, პოლიცია, რეფორმა, საბჭოთა კავშირი, დემოკრატია.

შესავალი

ნაშრომში განხილულია პოლონეთში კომუნისტური პერიოდის დროინდელი სიტუაცია და ასევე ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად, რამდენიმე ეტაპად გატარებული პოლიციის რეფორმები წლების მიხედვით. სისტებაში მყარად დამკვიდრებულ მავნებლურ ტრადიციებს და ჩვევებს ცვლილებები სჭირდებოდა, სწორედ ამიტომ პოლონეთმა, სხვა მრავალ მიმართულებასთან ერთად, სამართალდამცავ სტრუქტურებშიც გაატარა რეფორმები, ეს რეფორმები ძალზედ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პოლონეთი დემოკრატიულ გზაზე დამდგარიყო და ევროპულ ოჯახში ერთ-ერთი საპატიო და მნიშვნელოვანი ადგილი დაეკავებინა.

გზა რეფორმებამდე: კომუნისტური რეჟიმის დროინდელი სიტუაციის მიმოხილვა

დემოკრატიზაცია პოლონეთში დაიწყო 1980 წელს მუშათა არაოფიციალური გაერთიანების - "სოლიდარობის" [1] გაფიცვით. გაფიცვა სამომხმარებლო საქონელზე ფასების ზრდამ გამოიწვია, რომელიც ცენტრალური ეკონომიკის მიერ იყო დაგეგმილი, მაგრამ მალე გაფიცულებმა უფრო მეტი მოითხოვეს ვიდრე დაბალი ფასები. 1980 წლის გდანსკის შეთანხმებასთან ერთად, "სოლიდარობის" ლიდერებმა სხვადასხვა მოთხოვნა წამოაყენეს. [2] ისინი თანხმდებოდნენ იმაზე, რომ უნდა გაზრდილიყო საარსებო მინიმუმი, გაუქმებულიყო ცენზურა და უნდა ყოფილიყო თავისუფალი

1 სოლიდარობა (პოლონური პროფკავშირი) https://en.wikipedia.org/wiki/Solidarity_(Polish_trade_union)

2 Freedom broke out in Gdańsk - history of August 1980. https://www.gdansk.pl/en/about-gdansk/freedom-broke-out-in-gdansk-history-of-august-1980,a,3020

ვაჭრობის საშულება. ეს იყო მცირედი იმისა, რასაც სამოქალაქო თავისუფლება და პოლიტიკური უფლებები ჰქვია. თუმცა თავისუფლად ყოფნის პერიოდი ხანმოკლე აღმოჩნდა. როგორც კი "სოლიდარობის" წარმატებული ოპოზიციური მოძრაობა გახდა და მასში ირიცხებოდა 9 მილიონამდე წევრი, კომუნისტურმა რეჟიმმა 1981 წლის დეკემბერში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა, [3] ქუჩის საპროტესტო აქციები და გაფიცვები სასტიკად იკრძალებოდა და არბევდნენ, შედეგად 9 ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე დაიჭრა, ასევე 6000-ზე მეტი "სოლიდარობის" წევრი დააპატიმრეს და საბოლოოდ გაერთიანება "სოლიდარობა" აიკრძალა.

პოლონეთის პოლიცია მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. მას ეწოდებოდა მილიცია (MO) პოლიციის ნაცვლად, ეს იყო სიმბოლოკა კომუნისტური იდეოლოგიისა სახალხო რესპუბლიკაში. MO არა სახელმწიფოს, არამედ კომუნისტური პარტიის ცენტრალიზებული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. მისი მთავარი მიზანი იყო უზრუნველყო „სოციალისტური წესრიგი“. აქციების დასაშლელად არსებობდა სპეციალური დანაყოფი ZOMO, რომელიც MO-ს ეკუთვნოდა. ZOMO-ს კისერზე იყო 1981 წელს 9 პროტესტანტის სიკვდილი. იმ მოქმედებების დაგეგმვას და ზედამხედველობას, რომლებიც მიმართული იქნებოდა სახელმწიფოს დაცვისათვის, კურირებდა საიდუმლო პოლიცია, სახელად საიდუმლო ბიურო (SB). [4] SB-მ დააბეზღა "სოლიდარობის" მრავალი წევრები და მოამზადა "სოლიდარობის" თვალსაჩინო ფიგურათა სია, რათა დაეპატიმრებინათ და გაესამართლებინათ სამხედრო კანონით. SB-მ 1981 წლის შემდეგაც განაგრძო

[3] COLLECTED CONTENT: Martial Law in Poland 1981—1983. https://ipn.gov.pl/en/brief-history-of-poland/collected-content/9083,COLLECTED-CONTENT-Martial-Law-in-Poland-19811983.html

[4] Government and society. https: //www.britannica.com/place/Poland/Government-and-society#ref397147

ოპოზიციის თვალთვალი, როდესაც უკვე "სოლიდარობა" იატაკ-ქვეშა ორგანიზაცია გახდა. განსხვავება სხვადასხვა პოლიციურ და-ვალებებს შორის თითქმის არ არსებობდა, SB-ს შეეძლო საჭიროები-სამებრ გამოეწვია რიგითი პოლიციელები. მაშინაც კი როდესაც სამ-ხედრო კანონი უადგილო იყო, ოპოზიციის წევრებს მაინც ამ კანო-ნით სამართლებდნენ. მათ არ ეპყრობოდნენ ადამიანური უფლებე-ბის პატივისცემის შესაბამისად. მათ განიხილავდნენ „მტრულ რევოლიციონერად“ ან „კლასის მტრად“, არ ხდებოდა მათი სამა-რთლებრივი განსჯა. 1989 წლის მონაცემებით MO-ს ყავდა 62 276 ოფიცერი, მასში შედიოდა ZOMO 12 566 ოფიცრით, რაც MO-ს 20% წარმოადგენდა და საიდუმლო პოლიცია ეგრეთწოდებული SB 24 390 ოფიცრით რაც MO-ს 39% წარმოადგენდა.[5]

სამხედრო წესები გაუქმდა 1983 წელს, თუმცა "სოლიდარობა" კვლავ აკრძალული იყო. რეჟიმი მას საფრთხის შემცველად მიიჩ-ნევდა და აგრძელებდა ოპოზიციის თვალთვალს. მიუხედავად ამისა "სოლიდარობა" მნიშვნელოვან იატაკქვეშა ორგანიზაციად დარჩა. 1986 წელს ოპოზიციამ ისევ დაიწყო ქუჩის საპროტესტო აქ-ციები და რეჟიმის რეაქცია ამ ყოველივეზე იყო გარკვეული დემოკ-რატიული რეფორმების გატარება. საბოლოოდ მაშინდელი რეჟიმი დათანხმდა მრგვალი მაგიდის ფორმატით ოპოზიციასთან მოლაპა-რაკებას 1988 წლის დეკემბერში. 1989 წლის აპრილში მრგვალი მა-გიდის მოლაპარაკების მიზანი იყო ტრანზიცია სოციალიზმიდან ლიბერალ დემოკრატიაში. პირველი ნაბიჯი იყო სილიდარობის პო-ლიტიკურ პარტიად ლეგალიზება. რამაც ხელი შეუწყო ახალ პარ-ტიებს და თავისუფალ არჩევნებს. ასეც მოხდა, - 1989 წელს ჩატარდა არჩევნები და "სოლიდარობამ" მოიპოვა სრული გამარჯვება. რასაც მოჰყვა რეფორმების დაწყება

[5] Government and societyDemocratization and Police Reform by Christopher Paun. https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/1789/file/paun_master.pdf

პოლიციის რეფორმა 1989-90 წლებში

პოლიციის რეფორმა იყო "სოლიდარობის“ მთავარი პროექტი. ოფიციალურად ძველი მილიცია (MO) გაუქმდა და ახალი პოლიციური ძალები შეიქმნა.

მიუხედავად ამ რეფორმისა, პრაქტიკაში ახალმა პოლიციურმა ძალებმა გამოიყენეს ძველი მილიციის ქონება (პოლიციის სადგურები, მანქანები, ა.შ.) და მილიციის მრავალმა ოფიცერმა განაგრძო პოლიციაში მუშაობა. ახალ პოლიციურ ძალებს ეწოდა პოლიცია (განსხვავებით მილიციისაგან) და ახალი უნიფორმები შემოიღეს. მაღალი წოდების პოლიციის ოფიცრები, ხელმძღვანელების და უფროსების ჩათვლით, 49 პროვინციიდან გაანთავისუფლეს. დამატებით ყველა პოლიციის ოფიცერი რომლებიც რომელიმე პოლიტიკურ პარტიის იდეოლოგიას იზიარებდნენ და სამსახურებრივ მოვალეობაში რთავდნენ და იყენებდნენ გაათავისუფლეს.

თითოეულმა თანამშრომელმა გაიარა კომისია და მხოლოდ ნამდვილმა პოლიციელებმა განაგრძეს მუშაობა. ამის მთავარი მიზეზი გახდა იმ პოლიციელების იდენტიფიკაცია, რომლებიც მუშაობდნენ საიდუმლო პოლიციაში (B.S.) შედეგებმა აჩვენა, რომ 50 % კომისიაგავლილი პოლიციელი და 30 % პოლიციის ოფიცერი, გაანთავისუფლეს. პოლიციის ოფიცრებს ახალ პოლიციაში არ ჰქონდათ უფლება ყოფილიყვნენ რომელიმე პარტიაში.[6] იმისათვის, რომ პოლიცია არ ჩართულიყო პოლიტიკაში, შეიქმნა ნაციონალური პოლიციის უფროსის თანამდებობა. ნაციონალური პოლიციის უფროსი არის უმაღლესი რანგი მთელ საპოლიციო იერარქიაში, პოლიციის ოფიცრებმა უნდა მიიღონ ბრძანებები მხოლოდ პოლიციის იერარქებისაგან. მათ არ აქვთ უფლება მიიღონ ბრძანებები პოლი-

[6] Government and society Democratization and Police Reform by Christopher Paun. https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/1789/file/paun_master.pdf

ტიკოსთა მხრიდან. პოლიციის ნაციონალური უფროსი არის აპოლიტიკური ფიგურა, რომელიც ემსახურება ხალხს და არა რომელიმე პარტიას. ის არის არჩეული შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, მაგრამ მას სჭირდება აღიარება მრჩეველთა კომიტეტის მხრიდან.

კომიტეტს ადგენენ სეიმის და სენატის წევრები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებიდან. მიუხედავად ამ ყველაფრისა, არ შეიძლება ოპოზიციური პარტიის წევრები იყვნენ ამ კომიტეტში, ამის გამო სისტემა შეიძლება დახასიათდეს როგორც ნახევრად კონსენსუალური. პოლიციის ნაციონალური უფროსი ანგარიშვალდებულია შინაგან საქმეთა მინისტრთან და პარლამენტთან.

1990 წელს შეიქმნა დამატებით ახალი ნაციონალური პოლიცია და ასევე ადგილობრივი პოლიციის ძალები. ეს უკანასკნელი დაფინანსებული იყო ნაწილობრივ ადგილობრივი მთავრობის და ნაწილობრივ ცენტრალური ხელისუფლების მიერ. ადგილობრივი პოლიციის მთავარი მოვალეობა იყო პრევენციული მეთვალყურეობა, პატრულირება, როდესაც ნაციონალური პოლიცია კრიმინალურ გამოძიებას ატარებდა, დახმარების საჭიროების შემთხვევაში, მოქმედებაში ერთვებოდა ადგილობრივი პოლიცია. იმის გამო, რომ ადგილობრივი მთავრობის დაფინანსება არ იყო საკმარისი და პრობლემას წარმოადგენდა მათი ბიუჯეტიდან დახმარება, პოლიციაში გაიღვიძა კორუფციამ და ეს იქცა მთავარ პრობლემად.

კორუფცია იყო მთავარი პრობლემა ადგილობრივი პოლიციისთვის, ნაციონალური პოლიციისთვის და სხვა საჯარო სექტორებისთვის. ეს პრობლემა დამახასიათებელია უმეტესად პოსტ სოციალისტური ქვეყნებისთვის. გახშირდა წვრილი ხულიგნობები, ყაჩაღობები, თაღლითობები და ქურდობები, რამაც ხელი შეუშალა დიდ კრიმინალურ დაჯგუფებებს, რადგანაც ამით მათი რეპუტაცია ილახებოდა, ეს კი თავისთავად ამკაცრებდა მათზე კონტროლს. საბოლოო ჯამში, ორგანიზებულმა კრიმინალურმა ჯგუფებმა მხარი დაუჭირეს ახალ პოლიციურ ძალებს, როგორც თანხობრივად ასევე აღჭურვილობით, მანქანებით, რადიო კავშირითა და იარაღით.

ამით მათ ხელი შეუწყეს პოლიციის ბრძოლას მათ მოწინააღმდეგეებთან ანუ არაორგანიზებულ წვრილ კრიმინალთან, საბოლოო ჯამში კრიმინალურ დაჯგუფებების ბიზნესის ბრუნვაში პოლიცია მსგავსი სიმკაცრით აღარ ერეოდა. იმისათვის რომ საერთაშორისო პოლიცია დახმარებოდა პოლონეთს, გაზრდილი კრიმინალის დონე და განსაკუთრებით ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული მნიშვნელოვანი მიზეზი აღმოჩნდა. გერმანიამ მისცა აღჭურვილობა და ჩაუტარა ტრენინგები პოლონელ პოლიციელებს, ამავდროულად სხვა ქვეყნების უმეტესობა ფოკუსირებულნი იყვნენ რჩევებსა და პოლიციელთა ტრენინგებზე, როგორც პოლიციის დახმარების მთავარ, ძირითად ბირთვზე. 1995 წელს 17 ათასი პოლონელი პოლიციის ოფიცერი წავიდა სხვადასხვა პროგრამით ამერიკაში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში. ტრენინგი ჩვეულებრივ ფოკუსირებული იყო პოლიციის სამუშაოს ძირითად ასპექტებზე, მაგალითად როგორ ეწარმოებინათ დოკუმენტთა კონტროლი კრიმინალური გამოძიების დროს. საბაზისო ტრენინგების უმეტესობა მნიშვნელოვანი იყო. მრავალი სტაჟიანი პოლიციელი დაითხოვეს, ხოლო სამსახურის მომლოდინე ახალგაზრდა, გამოუცდელი პოლიციელები, თავიანთი უნარების გამო, შტატში აიყვანეს. მაგალითისთვის 1995 წელს, 1/3 ადგილი ვარშავის პოლიციისა ვაკანტური იყო.[7]

პოლიციის რეფორმა 1995 წელს

პოლიციის მეორე რეფორმა 1995 წელს განხორციელდა. რეფორმის აუცილებლობა პოლიციაში კრიმინალისა და კორუფციის მაღალმა დონემ განაპირობა, ასევე ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება ახალი მთავრობის მიერ.

[7] Marina Caparini and Otwin Marenin (Eds), Transforming Police in Central and Eastern Europe – Process and Progress, DCAF – Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces/ LIT, 2004. https://journals.openedition.org/pipss/524

1991 წლიდან პოლიტიკური ცვლილებები დაიწყო. "სოლიდარობა" ერთიან პარტიას აღარ წარმოადგენდა და 29 მცირე პარტიად დაიყო, ასევე შეიცვალა 4 პრემიერ მინისტრი. მომდევნო არჩევნები 1993 წელს ჩატარდა და პოსტ-კომუნისტური პარტიების გამარჯვებით დამთავრდა.[8]

პოლიციაში განხორციელებულ რეფორმებში მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი პოლიციის გაუქმება, რომელიც 1995 წელს შეუერთდა ნაციონალურ პოლიციას. სამომავლო მოქმედებები გაწერილი იყო გეგმის მიხედვით, რომლითაც პოლიციის ოფიცრებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ნება ჰქონდათ, ასევე შესაძლებლობა ეძლეოდათ მონაწილეობა მიეღოთ საიდუმლო პოლიციურ ოპერაციებში. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ აგენტურა, რომელსაც ინფორმაცია გამოჰქონდა, როგორც შიდა სამთავრობო ასევე კრიმინალური ჯგუფებიდან. ამ ნებართვების საჭიროება განაპირობა კრიმინალის და კორუფციის მაღალმა დონემ.[9]

პოლიციის რეფორმა 1999 წელს

ახლად მოსულმა მთავრობამ დაიწყო დიდი დეცენტრალიზაციის პროექტი, რომელიც თავისთავად მოიცავდა პოლიციის დეცენტრალიზაციას. პოლონეთში განხორციელებულ პოლიციის რეფორმაში დეცენტრალიზაცია მნიშვნელოვან ასპექტად განიხილება. დეცენტრალიზება მოხდა ადმინისტრაციული სტრუქტურის ცვლილებების პარალელურად. თავდაპირველად მთავრობის გადაწყვეტილებით 17 ძველი პროვინცია 49 ახლით ჩანაცვლდა. 1998

[8] WESTERN TRADE UNIONS AND SOLIDARNOŚĆ: A COMPARISON FROM A POLISH PERSPECTIVE. https://www.jstor.org/stable/25779686

[9] Government and societyDemocratization and Police Reform by Christopher Paun. https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/1789/file/paun_master.pdf

წელს კი მათი რაოდენობა კვლავ 16 მდე დავიდა.[10] სწორედ ამიტომ ექსპერტთა კომიტეტმა შექმნა შერეული ხასიათის სისტემა. ეს იყო ცენტრალური და დეცენტრალური დემოკრატიული პოლიციის კონტროლი. მსგავსი სისტემა გვხვდება ბრიტანულ და ჰოლანდიურ საპოლიციო მმართველობსაში.[11]

მრავალი ცვლილება განხორციელდა პოლიციის მმართველობის სისტემაში. კრიმინალური გამოძიების დეპარტამენტი დარჩა ცენტრალურ ინსტიტუტად ცენტრალიზებული ბიუჯეტით. იგი მიჩნეული იქნა ადეკვატურ სტრუქტურად ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ასევე შემოიღეს პოლიციის ახალი უნიფორმები, შეიქმნა გადაუდებელი შემთხვევების პოლიცია და პრევენციული პოლიცია პროვინციების ტერიტორიებზე, ქალაქებsa და მუნიციპალურ დონეზე. ახალი პოლიციის სტრუქტურის უმთავრესი საფეხური არის ქალაქი, პოლიციის ოფიცრების უმეტესობა სწორედ ამ დონეზე არიან ჩართულნი. ყოველ პატარა მუნიციპალიტეტს არ აქვს საკუთარი პოლიციის სადგური და ამიტომ გარკვეულ მუნიციპალიტეტებს უწევთ, რომ საზიარო პოლიციის სადგური ჰქონდეთ.

1999 წლამდე პოლიცია ფინანსდებოდა ეროვნული ბიუჯეტიდან, მაგრამ 2000 წლის დასაწყისისთვის ახალი პოლიციის ბიუჯეტი სრულად დეცენტრალიზებული გახდა. ეს ყოველივე კონტროლდებოდა ადგილობრივი საბჭოების, ნაციონალური საბჭოების და პროვინციის პარლამენტის მიერ. მაგრამ ადგილობრივ ადმინისტრაციულ სტრუქტურებს არ ჰქონდათ იმდენი ფინანსები რომ

[10] 1999 REGULAR REPORT. https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2016-12/poland_en.pdf

[11] The Netherlands Police. https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/0032258X7104400406?journalCode=pjxa

საჭირო თანხები გამოეყოთ და პოლიცია დაეფინანსებინათ. [12] ამის გამო ცენტრალური მთავრობა ურიცხავდა მათ თანხას რაც ლოკალურ კონტროლს ფორმალურს ხდიდა. ყოველი პოლიციის უფროსი ინიშნებოდა შეთანხმების შედეგად ცენტრალიზებულ-დეცენტრალზებული წესით: მუნიციპალიტეტის პოლიციის უფროსი ინიშნებოდა ადგილობრივი მერის და ქალაქის პოლიციის უფროსის მიერ. ქალაქის პოლიციის უფროსი ინიშნებოდა ქალაქის მერთან და პროვინციის უფროსთან შეთანხმებით, ხოლო პროვინციის პოლიციის უფროსი ინიშნებოდა პრეფექტთან და ნაციონალური პოლიციის უფროსთან შეთანხმებით. თავად პრეფექტი და ნაციონალური პოლიციის უფროსი ინიშნებოდნენ ცენტრალური მთავრობიდან. ყოველივე ეს წარმოშობდა მეტ კონტროლს პროვინციის პოლიციის მიმართ. [13]

მუნიციპალური და ქალაქის პოლიციის უფროსის დანიშვნა მეტად დაბალანსებული იყო. პოლიციის უფროსობის კანდიდატი დანიშვნისათვის უნდა განიხილოს პარლამენტმა. შემდეგ კი კანდიდატმა უნდა წარადგინოს მოხსენება პოლიციაში მუშაობის ბოლო წლის შესახებ. ეს ყოველივე კანდიდატს უნდა წარედგინა ცენტრალურ და ნაციონალურ საბჭოს პარლამენტთან ერთად. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მას უნდა ეპასუხა სამუშაო პერიოდთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე.

არსებობდა მრავალი მიზეზი იმისა, რომ 1999 წელს ჩატარებულიყო პოლიციის რეფორმა. ეს გამოწვეული იყო კრიმინალის და კორუფციის გაზრდილი დონით. ასევე ექსპერტთა კომიტეტის რჩევის იმისათვის, რომ პოლიციის მუშაობის ეფექტურობა გაუმ-

[12] Government and societyDemocratization and Police Reform by Christopher Paun. https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/1789/file/paun_master.pdf

[13] Government and societyDemocratization and Police Reform by Christopher Paun. https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/1789/file/paun_master.pdf

ჯობესებულიყო საჭირო იყო პოლიციის და საზოგადოების ურთიერთობის გაღრმავება. ეს ყოველივე კი საზოგადოებრივი პოლიციის იდეას ეფუძნებოდა. ასევე ეს ცვლილებები უცხოური პოლიციების მიერაც იყო შეთავაზებული.[14]

როგორც უკვე ითქვა, პოლინეთის მთავრობის მიერ გატარებულ პოლიციის რეფორმაში დეცენტრალიზება უმნიშვნელეს ადგილს იკავებს. სწორედ ეს ქმედება იყო ერთ-ერთი, რაშიც პოლონეთის მთავრობას ოპოზიცია დაეთანხმა და გვერდში დაუდგა. სწორედ ამ ნაბიჯით სამთავრობო კოალიციამ ოპოზიციისაგან მოიპოვა ხმები, პარლამენტში უმრავლესობის მოსაპოვებლად, რამაც, საბოლოო ჯამში, პოლონეთის ადმინისტრაციული სტრუქტურა ჩამოაყალიბა.

პოლიციის დეცენტრალიზება ევროკავშირისათვის მოსაწონი ნაბიჯი იყო. ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა კი ოპოზიციის წევრების დასარწმუნებლად კარგი გზა იყო. ევროკავშირი თავის მხრივ მომხრეა დეცენტრალიზაციისა და უარყოფს თვითმმართველობის არ არსებობას. პოლონეთში 1997 წელს აღნიშნული რეფორმები სწორედაც დროული აღმოჩნდა, რათა პოლონეთი დამსგავსებოდა იმ ქვეყანას რომელსაც შეეძლო ყოფილიყო ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი. 1999 წელს პოლონეთი გაწევრიანდა ნატოში და განაგრძო ევროკავშირში გასაწევრიანებლად მზადება სადაც 2004 წელს გაწევრიანდა.[15]

[14] Government and societyDemocratization and Police Reform by Christopher Paun. https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/1789/file/paun_master.pdf

[15] LOCAL GOVERNMENT REFORM IN POLAND: AN INSIDER'S STORY by JERZY REGULSKI. https://decentralization.gov.ua/pics/upload/57-81b7d00b5b7cc23737bfd1c4d96c4dbe.pdf

პოლიციის რეფორმის რეგულირება 2002/2003 წლებში

2002 წლის ნოემბერში უკვე გატარებული რეფორმების რამდენიმე რეგულაცია განხორციელდა. რამდენიმე ადგილობრივი პოლიციის უფროსის დანიშვნასთან დაკავშირებით წარმოქმნილ სირთულეების გადაჭრას საკონსესუსო სისტემის საკონსულტაციო სისტემად გარდაქმნა მოჰყვა. რეგულაციის თანახმად 2002 წლის ნოემბრიდან პოლიციის უფროსობის კანდიდატებმა საკუთარი კანდიდატურა ადგილობრივ ან საქალაქო საბჭოს უნდა წარუდგინონ, რომელსაც შეუძლია კანდიდატის შესახებ გამოთქვას აზრი და გასცეს რეკომენდაციები. ასვე შესაძლებელია რომ კანდიდატთან დაკავშირებით აზრი დააფიქსიროს მერმა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას აღნიშნულთან დაკავშირებით იღებენ მხოლოდ პოლიციის უმაღლესი იერარქები.

მომდევნო ნაბიჯი იყო პოლიციის ბიუჯეტის სრული გადახედვა. ადგილობრივ დონეზე იყო თანხის არქონის პრობლემა, რაც კვლავ კორუფციის საფრთხეს აჩენდა. სწორედ ამიტომ დაკლებულ თანხას ცენტრალური ბიუჯეტი ანაზღაურებდა.[16] 2005 წელს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო ახალმა პარტიამ სახელად „კანონი და სამართლიანობა“ (PIS). აღნიშნული პარტია თავს არ აიგივებდა არც პოსტ-სოლიდარობასთან და არც პოსტ-კომუნისტურთან. თუმცა წევრთა უმეტესობა იყო პოსტ-სოლიდარობის ორგანიზაციიდან. გამარჯვებულმა პარტიამ არ მოახდინა კოალიციის სხვადასხვა პარტიით ფორმირება, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მას ოპოზიციაში მხოლოდ ორი პარტია ჰყავდა. PIS-ის სათავეში ყოფნისას მთავრობის მიერ შეიქმნა ახალი

[16] Marina Caparini and Otwin Marenin (Eds), Transforming Police in Central and Eastern Europe – Process and Progress, DCAF – Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces/ LIT, 2004. https://journals.openedition.org/pipss/524

ანტი-კორუფციული პოლიციის ერთეული, როგორც კრიმინალის წინააღმდეგ საბრძოლო იარაღი.[17]

შედეგი

პოლონეთმა დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე მრავალი ნაბიჯი გადადგა როგორც პოლიციის რეფორმირების კუთხით, ასევე სხვა მიმართულებებითაც. მათი უმეტესობა პროგრესული იყო, რაზეც დემოკრატიის ასევე პოლიციის მიმართ ნდობის ინდექსი მეტყველებს, [18] გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ენდობა პოლიციას, რაც მთავარია შედეგის დინამიკა სტაბილურია და წლების მიხედვით მხოლოდ მცირედი ცვლილებებია. შედეგად პოლონეთმა მიაღწია იმას, რომ გახდა ევროკავშირის წევრი 2004 წლის 1 მაისიდან ათენში 2003 წლის 16 აპრილს ხელმოწერილი შეერთების ხელშეკრულების მიხედვით.

2020 წელს კვლევითი ცენტრი STATISTA-ს მიერ ჩატარდა კვლევა, გამოიკითხა პოლონეთის 1100 მოქალაქე და შედაგად გამოირკვა, რომ რესპონდენტთა 65.7% პოლიციას ენდობა, ასევე 52.5% თვლის რომ მედია თავისუფალია , 41.1% თვლის რომ სასამართლო თავისუფალია და დამოუკიდებელი. ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა დემოკრატიული პოლიციის გარეშე, რადგან ზუსტად პოლიციამ - ამ სამართალდამცავმა ინსტიტუციამ უნდა უზრუნველზოს ქვეყანაში სხვადასხვა მიმართულებით კანონის უზენაესობა, მოქალაქეთა დაცვა და მშვიდი, სანდო გარემოს ჩამოყალიბება, სადაც საზოგადოებას დაცულობის და სამართლიანობის განცდისათვის რეაულური მიზეზები ექნება. აღნიშნულიდან გა-

[17] Government and societyDemocratization and Police Reform by Christopher Paun. https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/1789/file/paun_master.pdf

[18] Trust in the police around the world. https://360info.org/interactive-trust-in-the-police-around-the-world/

მომდინარე, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა უწყებები მშვიდი და უსაფრთხო გარემოს ხარჯზე შეძლებენ გამართლად მუშაობას.

Freedom house-ის 2023 წლის შეფასებით პოლონეთს დემოკრატიის ინდექსი 7 დან 4.54 აქვს, თუმდა 2015 წელს ინდექსი 5.79 იყო. 2015 - 2023 წლებში ინდექსი 5.79 დან 4.54 შუალედში მერყეობდა.[19]

Trust and legitimacy across Europe: A FIDUCIA report on comparative public attitudes towards legal authority-ს მიერ ევროკომისიის პარტონაჟით ჩატარებული კვლევა, რომელშიც წარმოდგენილი იყო მოსახლეობის ნდობა პოლიციის მიმართ სხვადასხვა ასპექტში 2006 წლიდან 2013 წლამდე, კვლევიდან ჩანს, რომ პოლონეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი პოლიციას დადებითად აფასებს და მის მიმართ ნდობა აქვს.[20]

[19] Freedom house - https://freedomhouse.org/country/poland/nations-transit/2015

[20] Trust and legitimacy across Europe: A FIDUCIA report on comparative public attitudes towards legal authority. https://www.researchgate.net/publication/236980105_Trust_and_Legitimacy_Across_Europe_A_FIDUCIA_Report_on_Comparative_Public_Attitudes_Towards_Legal_Authority

დასკვნა

ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამართალდამცავი სტრუქტურების გატარებულმა რეფორმებმა პოლონეთი როგორც საშინაო, ასევე საგარეო კუთხით დადებითობისკენ შეცვალეს, პოლონეთში გაჩნდა და გაძლიერდა დემოკრატია. ამის თქმის საშუალებას იძლევა ის, რომ საშინაო კუთხით ქვეყანაში გაჩნდა დაცულობის და სამართლიანობის შეგრძნება, რაც რეალურად რეფორმებმა მოიტანა. აღნუშნული რეფორემების გატარების შემდეგ საგრძნობი იყო რომ ბრალდებულს შეეძლო თავი ემართლებინა და სამართლიენი გადაწყვეტილება მიეღო მოსამართლეს განსხვავებით კომუნისტური პერიოდისა, როდესაც ყოველგვარი პროცესი ფორმალობა იყო და განაჩენი უკვე დიდი ხნის გამოტანილი იყო ხოლმე. ეს კი დემოკრატიაზე მიუთითებს. სასამართლოში ასევე შესაძლებელი გახდა გამოტანილი განაჩენის გადახედვა უკვე სხვა სასამართლო ინსტანციაში. პროკურატურის არსებობამ გამჭვირვალობის შეგრძნება გააჩინა ხალხში. ამ ყოველივედან გამომდინარე, შეიძლება დავინახოთ, რომ კომუნისტურ პოლონეთსა და თანამედროვე პოლონეთს შორის დიდი განსხვავებაა. კომუნისტურ პოლონეთში, მაშინ როდესაც სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება გაერთიანებული იყო, როდესაც მოსამართლეს, ადვოკატს და პროკურორს ერთად გამოჰქონდათ განაჩენი ბრალდებულისთვის და ამ მდგომარეობიდან გამომდინარე კორუფცია პიკს აღწევდა, აღნიშნული რეფორმები სწორედაც რომ დროული და საჭირო იყო. საგარეო კუთხით პოლონეთი გადაიქცა სტაბულურ, დემოკრატიულ და სანდო ქვეყნად, რომელიც მრავალი ქვეყნისთვის სასურველ პარტნიორს ან პოტენციურ პარტნიორს წარმოადგენს. დღეს პოლონეთი ნატოსა და ევროკავშირის წევრია რაც ნაწილობრივ ამ გატარებული რეფორმების დამსახურებაა.

ცხადია, რომ გატარებულმა რეფორმებმა ხალხს დაცულობის შეგრძნება გაუჩინა და აგრძნობინა, რომ ისინი ერთმანეთისაგან

გამიჯნულნი კი არა, პირიქით, გაერთიანებულნი არიან დანაშაულის და დანაშაულის გამომწვევ მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლაში. სასამართლო რეფორმამ გააჩინა სამართლიანობის შეგრძნება. პოლონეთის მოქალაქეებს სწამთ, რომ პოლიცია, სასამართლო და პროკურატურა მათ დასასჯელად კი არა, მათ დასაცავად არსებობს, რომ ეს ინსტიტუტები დემოკრატიის ფარგლებში იფუნქციონირებენ და დაიცავენ დემოკრატიულ წყობას თავიაანთი მუშაობის სტილით.

მოქალაქეებში გაჩნდა შეგრძნება, რომ სწორედ ამ ინსტიტუტების მეშვეობით იქმნება ქვეყანაში სამართალი და დემოკრატიული პლურალიზმი. გატარებულმა რეფორმებმა მრავალი საკადრო თუ სტრუქტურული ცვლილება გამოიწვია. შედეგად აღნიშნული ინსტიტუციები გაიწმინდა კორუფციისაგან და უსამართლობის გამომწვევი კერებისაგან, გადაირჩა ძველი კადრები და მხოლოდ ღირსეულებმა შეძლეს დარჩენა აღნიშნულ ინსტიტუციებში სამუშაოდ. ასევე მოხდა მათი დაკომპლექტებაა ენთუზიაზმით და ენერგიით აღსავსე კადრებით, რომელთა მთავარი იდეა სამართლიანობა და დემოკრატიული პრინციპებია. აღნიშნული მდგომარეობა ძალაუნებურად აკონტროლებს მომუშავე პერსონალს, რომ არ ჩაიდინონ რაიმე ისეთი, რაც დემოკრატიის პრინციპებს არ შეესაბამება და პირიქით, თავად სტრუქტურაში მომუშავე კადრებიც ზრუნავენ დემოკრატიულ წყობაზე, რადგან ქვეყანაში თავისუფლება, თანასწორობა და სამართალი იყოს.

ლიტერატურაა

Trust in the police around the world. https://360info.org/interactive-trust-in-the-police-around-the-world/

Democratization and Police Reform by Christopher Paun. https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/1789/file/paun_master.pdf

Government and society. https://www.britannica.com/place/Poland/Government-and-society#ref397147

WESTERN TRADE UNIONS AND SOLIDARNOŚĆ: A COMPARISON FROM A POLISH PERSPECTIVE. https://www.jstor.org/stable/25779686

Trust in the police around the world. https://360info.org/interactive-trust-in-the-police-around-the-world/

Marina Caparini and Otwin Marenin (Eds), Transforming Police in Central and Eastern Europe – Process and Progress, DCAF – Geneva Centre for the Democratic Control of Armed Forces/ LIT, 2004. https://journals.openedition.org/pipss/524

Government and societyDemocratization and Police Reform by Christopher Paun. https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/1789/file/paun_master.pdf

LOCAL GOVERNMENT REFORM IN POLAND: AN INSIDER'S STORY b y JERZY REGULSKI. https://decentralization.gov.ua/pics/upload/57-81b7d00b5b7cc23737bfd1c4d96c4dbe.pdf

Freedom broke out in Gdańsk - history of August 1980. https://www.gdansk.pl/en/about-gdansk/freedom-broke-out-in-gdansk-history-of-august-1980,a,3020

The Netherlands Police. https://journals.sagepub.com/doi/abs/10.1177/0032258X7104400406?journalCode=pjxa

Trust and legitimacy across Europe: A FIDUCIA report on comparative public attitudes towards legal authority. https://www.researchgate.net/publication/236980105_Trust_and_Legitimacy_Across_Europe_A_FIDUCIA_Report_on_Comparative_Public_Attitudes_Towards_Legal_Authority

Mikheil Sadaghashvili

First and next democratic steps in Post-Socialist Poland. The police reform in 1989-2003

Summary

Every country that wants to build a democratic state goes through many stages and takes the necessary steps.

One of the important factors for achieving democracy in the country is peace and stability, so that the citizens of the country can be sure of their security in the present and the future, and other countries see this country as a stable neighbor and partner.

One of the guarantors of peace and security of citizens in the country - the police is an institution that constantly monitors the situation and takes care of people's safety.

During the Soviet Union, corruption and crime took root in the militia, the militia rarely performed its duties, bribery and cover-up of crimes were common, and this situation continued even after the independence of the post-Soviet countries.

After the liberation of Poland from the Soviet regime, in terms of state building, the Polish government implemented a number of reforms, including the police.

The purpose of the reforms carried out in the police force was to bring the given institution out of its current deplorable state and revive it.